

დამტკიცებულია

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“
სამეურვეო საბჭოს

2008 წ. 28 ივლისის

№ 108 გადაწყვეტილებით
(ოქმი №68)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საზოგადოებრივი მაუწყებელი
(ახალი რედაქცია)

თბილისი
2008

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (შემდგომში – „მაუწყებელი“) დაფუძნებულია და თავის საქმიანობას ახორციელებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.
- 1.2. მაუწყებელი არის საქართველოს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
- 1.3. მაუწყებელი წარმოადგენს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეორგანიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობის“ – სამართალმემკვიდრეს.
- 1.4. მაუწყებლის სრული სახელწოდებაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „საზოგადოებრივი მაუწყებელი“.
- 1.5. მაუწყებლის შემოკლებული სახელწოდებაა: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“.
- 1.6. მაუწყებლის ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №68.

2. მაუწყებლის უფლებაუნარიანობა, მიზნები და საქმიანობის საბანო

- 2.1. მაუწყებლის სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლები დადგენილია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნებითა და საქმიანობის საგნით.
- 2.2. მაუწყებლის მიზანს წარმოადგენს:
 - ა) მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებების განხორციელება;
 - ბ) საზოგადოებისათვის პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება;
 - გ) შექმნილი ტელე-რადიო პროდუქციით, გაწეული მომსახურებითა და შესრულებული სამუშაოებით ტელერადიომაუწყებლობის დარგში საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება.
- 2.3. მაუწყებლის საქმიანობის საგანს განეკუთვნება:
 - 2.3.1. სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის ორგანიზება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ;
 - 2.3.2. სატელევიზიო და რადიო პროგრამების წარმოება, გახმოვანება, ტირაჟირება და საზოგადოებისათვის მიწოდება;
 - 2.3.3. ტელერადიომაუწყებლობის ქსელის შექმნა;
 - 2.3.4. ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და საზოგადოებისათვის მიწოდება;
 - 2.3.5. ტელერადიო პროდუქციის საკონკურსო საწყისებზე გამოვლენა და მისი საზოგადოებისათვის მიწოდება;
 - 2.3.6. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მაუწყებლის მიერ გავრცელებული ტელერადიო პროდუქციის შესახებ;
 - 2.3.7. მარკეტინგული და სოციოლოგიური კვლევების ჩატარება;
 - 2.3.8. კანონმდებლობით დადგენილი წესით აუდიო-ვიდეო, აუდიოვიზუალური და კინო პროდუქციის შექმნა, ამ პროდუქციაზე საავტორო და ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებების მოპოვება;
 - 2.3.9. ტელერადიოპროდუქციის შექმნისათვის საჭირო პირობების შექმნა;

2.3.10. სარეკლამო პროდუქციის დამზადება;

2.3.11. სარეკლამო მომსახურების განხორციელება.

2.4. მაუწყებელი ახორციელებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც ემსახურება და მიზნად ისახავს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შინაარსობრივი ვალდებულებების შესრულებას.

3. მაუწყებლის სტრუქტურა

3.1. მაუწყებლის სტრუქტურაა:

- სამეურვეო საბჭო და მისი აპარატი;
- გენერალური დირექტორი;
- დირექტორთა საბჭო;
- ახალი და მიმდინარე ამბები, რომლებსაც ხელმძღვანელობს ახალი და მიმდინარე ამბების დირექტორი. ახალ და მიმდინარე ამბებში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- ცენტრალური მართვის აპარატი;

- ✓ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების აპარატი;

- ✓ მედია პროდუქციის წარმოების აპარატი;

- ანალიტიკური სამსახური;

- მედია, რომელსაც ხელმძღვანელობს მედიის დირექტორი. მედიაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- პირველი არხი;

- ტელესკოლა;

- რადიო 1;

- რადიო 2;

- ტელეფილმები;

- მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა/გახმოვანების სამსახური;

- არქივი;

- ტექნიკა და ტექნოლოგიები, რომელსაც ხელმძღვანელობს ტექნიკური დირექტორი. წარმოების ტექნიკურ უზრუნველყოფაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- გავრცელების უზრუნველყოფის სამსახური;

- მაუწყებლობის სამსახური;

- წარმოების უზრუნველყოფის სამსახური;

- ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური;

- ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;

- ფინანსები და ადმინისტრაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ფინანსური დირექტორი. მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- ფინანსური ანალიზის და ფინანსური აღრიცხვის სამსახური;

- შესყიდვების სამსახური;

- ადმინისტრაცია;

- საქმისწარმოების სამსახური.

- მარკეტინგი და კომუნიკაცია;

- ახალი მედია და ინოვაცია;

- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- იურიდიული სამსახური.

3.1.1. დირექტორთა საბჭო წარმოადგენს გენერალური დირექტორის სათათბირო-საკოორდინაციო ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მაუწყებლის ოპერატიული მართვის და შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მომზადებას და შესრულებას, ასევე აღსრულების ზედამხედველობას. დირექტორთა საბჭო შეიმუშავებს და წარუდგენს გენერალურ დირექტორს:

- მაუწყებლის სტრატეგიის პროექტს (დამტკიცების წესი განისაზღვრება დებულების 4.2.1. ქვეპუნქტით);

- ბიუჯეტის პროექტს (რომელსაც გენერალური დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად);

- სარედაქციო პოლიტიკას;

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას;

- მაუწყებლის საქმიანობის განმსაზღვრელ ღოკუმენტებს.

3.1.2. ახალი და მიმდინარე ამბები, როგორც სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს მაუწყებლის საინფორმაციო პოლიტიკის რეალიზებას, რისთვისაც:

- უზრუნველყოფს საზოგადოების ობიექტური ინფორმირებას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;

- პასუხისმგებელია საინფორმაციო გამოშვებების და მიმდინარე ამბების შინაარსის, რეგიონალური გადაღებებისა და მთლიანად მედიისთვის ამ მიმართულების კონტენტის შექმნაზე;

- უზრუნველყოფს ახალი და მიმდინარე ამბების კრიტიკულ ანალიზს სხვადასხვა მედია ფორმების საშუალებით (რადიო, ტელევიზია, ონლაინ მედია);

- ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და შიდა აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3.1.3. მედია, როგორც სტრუქტურული ერთეული:

- უზრუნველყოფს პროგრამული პრიორიტეტების, მაუწყებლის სტრატეგიის მოთხოვნების და დებულებების, ასევე სამაუწყებლო პილიტიკის, მარკეტინგული და სოციოლოგიური კვლევ(-ებ)ის მონაცემების და შედეგების საფუძველზე სამაუწყებლო ბადის მომზადებას და დასამტკიცებლად წარუდგენას;

- უზრუნველყოფს მზა პროდუქციის შერჩევა/შესყიდვას;

- ტელესკოლის, როგორც სტრუქტურული ერთეულის, მეშვეობით უზრუნველყოფს:

- შემეცნებით-საგანმანათლებლო გადაცემების/პროექტების წარმოებას;

- შემეცნებით-საგანმანათლებლო მექანიკური პროდუქციის (მათ შორის, მხატვრული, ღოკუმენტური და ანიმაციური ფილმების) განთავსებას.

- ტელეფილმების, როგორც სტრუქტურული ერთეულის, მეშვეობით უზრუნველყოფს ტელეფილმების შიდა/გარე წარმოების შერჩევასა და მონიტორინგს;

- რადიო 1-ის და რადიო 2-ის, როგორც სტრუქტურული ერთეულების, მეშვეობით უზრუნველყოფს დამტკიცებული პროგრამული ბადის საფუძველზე შესაბამისი პროექტების დაგეგმვა/მომზადებას, პროექტების განვითარებას;

- არქივის, როგორც სტრუქტურული ერთეულის, მეშვეობით უზრუნველყოფს:

- მაუწყებლის კინო-ფოტო, აუდიო-ვიდეო ფონდებში დაცული მასალების დადგენილი სტანდარტებით დაცვას და აღრიცხვას;
- ფონდებში დაცული მასალების ციფრულ ფორმატში გადატანას;
- არქივისთვის ახლად შექმნილი მასალების დამუშავება-აღრიცხვას;
- მაუწყებლის ფონდებში დაცული მასალების ხელმისაწვდომობას მაუწყებლის სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის;
- ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და შიდა აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3.1.4. ტექნიკა და ტექნოლოგიები, როგორც სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს მაუწყებლის ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ფუნქციონირებას, ასევე ახორციელებს გადაცემების/პროექტების მომზადების და შესაბამისად ეთერში გაშვების მიზნით, მათ ტექნიკურ/ინფრასტრუქტურულ და შესაბამისი ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფას; მაუწყებლობის სამსახურის მეშვეობით უზრუნველყოფს ყველა არხის ეთერში გასვლის ავტომატიზაციას, ბადის მიხედვით სამაუწყებლო ფლელიისტების მართვას, ტარფიკ სისტემის მაუწყებლობის ნაწილის მართვას, ეთერში განსათავსებელი მედია მასალების აგრეგირებას (მომზადებას) და ხარისხის კონტროლს; ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და შიდა აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3.1.5. ფინანსები და ადმინისტრაცია, მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით უზრუნველყოფს:

- მაუწყებლის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას შემდგომი დამტკიცების მიზნით, ბიუჯეტის შესრულების კონტროლს და მონიტორინგს და ანალიზს, ფინანსური ოპერაციების აღრიცხვას და ანგარიშგებას;
- ფინანსური რესურსების მაქსიმალურად ოპტიმალური მართვას და მაუწყებლის უწყვეტი ფუნქციონირებას;
- საქონლის, სამუშაოების და მომსახურების შესყიდვების ორგანიზებას და განხორციელებას, რომელიც სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან;
- საქმისწარმოებას;
- მაუწყებელს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სამეურნეო და სატრანსპორტო მომსახურებას;
- ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და შიდა აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3.1.6. მარკეტინგი და კომუნიკაცია, როგორც სტრუქტურული ერთეული, უზრუნველყოფს:

- ორგანიზაციის მარკეტინგული გეგმის შემუშავებას, მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვას და შესრულებას;
- მედია გარემოს ანალიზს, კვლევების ჩატარებას ან/და მათ ორგანიზებას;
- ყველა პლატფორმის კონტენტის მონიტორინგს;
- საზოგადოებასთან ურთიერთობების და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებებს;
- ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და შიდა აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3.1.7. ახალი მედია და ინოვაცია, როგორც სტრუქტურული ერთეული ყზრუნველყოფს:

- ონლაინ პლატფორმის ფუნქციონირებას და მისი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას;
- ახალი მედიის სხვადასხვა კონცეფციების შემუშავებას/დაგეგმვას და განხორციელებას;
- ინოვაციური პროექტების დამუშავება/დაგეგმვას;
- ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და შიდა აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3.1.8. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფს:

- საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის კადრების მოზიდვა-შერჩევას და სტაჟირების პროგრამის ორგანიზირებას;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა დანიშვნის, სამსახურეობრივი გადაადგილების (გადაყვანის), გათავისუფლების, წახალისების და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების, შვებულების, შრომის ანაზღაურების, ცალკეულ თანამშრომელთა უფლებამოსილების და სხვათა შესახებ სათანადო პროექტების და დოკუმენტაციის მომზადებას;
- სამსახურში არსებული სამუშაო ადგილების ანალიზს, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მომზადებასა და თანამდებობრივი ინსტრუქციების დამუშავებას;
- კონკურსისა და ადესტაცია/შეფასების ორგანიზირებას;
- შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების მოთხოვნაზე კონტროლს;
- ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული ძირითადი სტატისტიკურ-ანალიტიკური ინფორმაციისა და რეკომენდაციების პერიოდულად მომზადებას;
- ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და შიდა აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3.1.9. იურიდიული სამსახური უზრუნველყოფს მაუწყებლის საქმიანობის შესაბამისობას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან, რისთვისაც ახორციელებს:

- მაუწყებლის საქმიანობასთან დაკავშირებით წამოჭრილ სამართლებრივ საკითხებზე შესაბამისი დასკვნების და რეკომენდაციების მომზადებას და წარდგენას;
- შემოსული კორესპონდენციის, განცხადებების და საჩივრების თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანალიზს და განხილვას;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფას;
- მაუწყებლის ინტერესების ყველა სასამართლო ინსტანციაში, არბიტრაჟში, ასევე სახელმწიფო და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში წარმოდგენას და დაცვას;
- მაუწყებლის საქმიანობასთან დაკავშირებით ხელშეკრულებების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების პროექტების მომზადებას;
- ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და შიდა აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3.2. დაქვემდებარების მიხედვით მაუწყებლის სტრუქტურის გრაფიკული აღწერილობა მოცემულია დანართში №1, რომელიც დამტკიცებულია მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ, თან ერთვის წინამდებარე დებულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.3. დებულების 3.1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების პროექტების მომზადების უზრუნველსაყოფად, დებულების 3.1. პუნქტით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების გარდა გენერალური დირექტორი საჭიროებისამებრ ქმნის სამუშაო ჯგუფებს (რომლებიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულებს), რომელთა შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ როგორც მაუწყებლის თანამშრომლები და მოწვეული პირები (კონსულტანტები, ექსპერტები), ასევე სამეურვეო საბჭოს წევრები.

3.4. დირექტორთა საბჭოს კომპეტენცია, შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაზღვრება მაუწყებლის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დირექტორთა საბჭოს დებულებით.

3.5. დირექტორებს ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალური დირექტორი.

3.6. გენერალური დირექტორის არყოფნის შემთხვევაში გენერალური დირექტორის უფლებამოსილებას ახორციელებს ერთ-ერთი დირექტორი.

3.7. დირექტორები ანგარიშვალდებულნი არიან გენერალური დირექტორის წინაშე.

3.8. მარკეტინგის და კომუნიკაციის სამსახურის უფროსი, ახალი მედიის და ინოვაციის სამსახურის უფროსი, ადამიანური რესურსების მართვის და იურიდიული სამსახურების უფროსები ანგარიშვალდებულნი არიან გენერალური დირექტორის წინაშე. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულნი არიან გენერალური დირექტორის და კურატორი დირექტორის წინაშე.

სამეურვეო საბჭოს 23.05.2011წ. №202 (ოქმი №192) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 04.02.2013წ. №244 (ოქმი №227) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 18.04.2013წ. №253 (ოქმი №234) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 07.09.2015წ. №312 (ოქმი №301) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 05.10.2015წ. №317 (ოქმი №303) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 15.04.2016წ. №338 (ოქმი №317) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 25.05.2016წ. №340 (ოქმი №320) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 11.08.2016წ. №342 (ოქმი №323) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 07.03.2017წ. №363 (ოქმი №344) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 14.07.2017წ. №385 (ოქმი №356) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 23.08.2018წ. №431 (ოქმი №389) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 05.05.2020წ. №471 (ოქმი №421) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 09.10.2020წ. №492 (ოქმი №431) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 01.02.2021წ. №504 (ოქმი №439) გადაწყვეტილება

4. სამეურვეო საბჭო

4.1. მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა, ფორმირების წესი, გადაწყვეტილებების მიღების წესი განსაზღვრულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

4.2. სამეურვეო საბჭო:

ა) განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს;

ბ) გენერალური დირექტორის წარდგინებით, სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რედაქციული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას; უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან გენერალური დირექტორის წინადადებით, ცვლილებები შეიტანოს დებულებაში;

გ) გენერალური დირექტორის წარდგინებით იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს და ამტკიცებს მისი შესრულების ანგარიშს; უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან გენერალური დირექტორის წინადადებით, ცვლილებები შეიტანოს ბიუჯეტში;

დ) ისმენს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის ყოველკვარტალურ ანგარიშს, მათ შორის, ფინანსურ ანგარიშს (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად), კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში;

ე) თანხმობას აძლევს გენერალურ დირექტორს ისეთი გარიგების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ს;

ვ) განსაზღვრავს გენერალური დირექტორის შრომის ანაზღაურების პირობებსა და ოდენობას;

ზ) გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის საშტატო განრიგს და თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოებს, სახელფასო ფონდს, მათ შორის, საპრემიო ფონდს და პრემიების ზღვრულ ოდენობებს;

თ) ადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულების ძირითად პირობებს, მათ შორის, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობებს, იმის გათვალისწინებით, რომ შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა 1 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს, გარდა საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისა, რომელთა შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა 5 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს (გამონაკლისია ისეთი პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების ვადაც 1 წელზე ნაკლებია);

ი) მიმართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს უნდობლობის საკითხის დასმის შესახებ.

4.2.1. სამეურვეო საბჭო, აღმასრულებელ საბჭოსთან კონსულტაციების საფუძველზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განსაზღვრავს მაუწყებლის განვითარების ძირითად სტრატეგიულ ორიენტირებს. სამეურვეო საბჭოს მიერ განსაზღვრული სტრატეგიული ორიენტირების გათვალისწინებით აღმასრულებელი საბჭო უზრუნველყოფს მაუწყებლის სტრატეგიის შემუშავებას, რომელსაც გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო.

4.2.2. საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების, სტრატეგიის (სამაუწყებლო პოლიტიკის), ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის მიღების პროცესი განისაზღვრება წინამდებარე დებულების შესაბამისი დანართით განსაზღვრული წესით.

4.3. სამეურვეო საბჭოს მუშაობის რეგლამენტი განისაზღვრება საბჭოს გადაწყვეტილებით.

4.4. მეურვეს სამეურვეო საქმიანობის განხორციელებისათვის ეძლევა ჰონორარი და აუნაზღაურდება კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების ხარჯები.

4.4.1. ჰონორარის ოდენობა “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში განისაზღვრება სამეურვეო საბჭოს მიერ გენერალურ დირექტორთან წინასწარი შეთანხმებით მაუწყებლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე.

სამეურვეო საბჭოს 08.04.2015წ. №293 (ოქმი №290) გადაწყვეტილება

5. გენერალური დირექტორი

5.1. მაუწყებლის საქმიანობის ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობას ახორციელებს გენერალური დირექტორი.

5.2. მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი, პირობები და პროცედურები განსაზღვრულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

5.3. მაუწყებლის გენერალური დირექტორი:

5.3.1. წარმოადგენს მაუწყებლის ინტერესებს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ;

5.3.2. გამოსცემს ბრძანებებს და იძლევა განკარგულებებს, რაც სავალდებულო შესასრულებელია მაუწყებლის თანამშრომლებისათვის;

5.3.3. მაუწყებლის სახელით გასცემს მინდობილობებს (რწმუნებულებებს);

5.3.4. ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულის დებულებას;

5.3.5. ამოღებულია.

5.3.6. თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს მაუწყებელში დასაქმებულ პირებთან;

5.3.7. ამტკიცებს მაუწყებლის შიდა დოკუმენტაციას, რომელიც განსაზღვრავს მაუწყებლის მიმდინარე საქმიანობას;

5.3.8. ამოღებულია.

5.3.9. კანონმდებლობით დადგენილი წესით განაგებს მაუწყებლის ქონებასა და ფინანსებს;

5.3.10. კანონმდებლობით დადგენილი წესით მაუწყებლის სახელით დებს გარიგებებს;

5.3.11. ახორციელებს სხვა ფუნქციებს, რაც აუცილებელია მაუწყებლის მიზნების მიღწევისა და ნორმალური საქმიანობის უზრუნველსაყოფად;

5.3.12. კონკურსის წესით ნიშნავს საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტორს.

5.4. გენერალური დირექტორის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, წინამდებარე დებულებითა და სამეურვეო საბჭოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

სამეურვეო საბჭოს 23.05.2011წ. №202 (ოქმი №192) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 04.02.2013წ. №244 (ოქმი №227) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 18.04.2013წ. №253 (ოქმი №234) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 08.04.2015წ. №293 (ოქმი №290) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 07.03.2017წ. №363 (ოქმი №344) გადაწყვეტილება

6. მაუწყებლის საზოგადოებრივი საბჭოები/საბჭო

6.1. მაუწყებლის ეთერში საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნების წარმოდგენის, აგრეთვე „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული შინაარსობრივი ვალდებულებების განხორციელების უზრუნველსაყოფად იქმნება საზოგადოებრივი საბჭოები/საზოგადოებრივი საბჭო, რომლებიც უფლებამოსილნი არიან საზოგადოების უშუალო მონაწილეობით შეიმუშაონ რეკომენდაციები მაუწყებლისათვის.

6.2. საზოგადოებრივი საბჭოების სახეები, რაოდენობა, ფორმირებისა და საქმიანობის წესი და ფუნქციები განისაზღვრება სამეურვეო საბჭოს მიერ.

6.3. სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 14 თებერვლის №198 (ოქმი №186) გადაწყვეტილებით, შექმნილია ერთი საზოგადოებრივი საბჭო (შემდგომში – “საბჭო“), რომელიც 6.1. პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია შეისწავლოს საზოგადოებისათვის აქტუალური, პრობლემური საკითხები და თავისი საქმიანობის სფეროს მიხედვით საზოგადოების უშუალო მონაწილეობით შეიმუშაოს და წარმოადგინოს შესაბამისი რეკომენდაციები მაუწყებლისათვის.

6.3.1. საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

6.3.2. საბჭოს შემადგენლობის ფორმირება ხორციელდება საბჭოს წევრობით დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებების განხილვის შედეგად. კერძოდ, წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე დაინტერესებულ პირთა კანდიდატურებს განიხილავს მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

6.3.3. საბჭო შედგება არაუმეტეს 70 წევრისგან. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ როგორც ქ. თბილისში, ასევე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მუდმივად მცხოვრები პირები.

6.3.4. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაა 2 წელი. პირი არ შეიძლება იყოს საბჭოს წევრი ზედიზედ 2 ვადაზე მეტი ხნით.

6.3.5. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება:

- ა) პირადი განცხადებით;
- ბ) ობიექტური ან სუბიექტური მიზეზების გამო საბჭოს მუშაობაში ხანგრძლივად 4 თვე მონაწილეობის მიუღებლობისას;
- გ) სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც იგი იღებს თავისი ინიციატივით ან საზოგადოებრივი საბჭოს წარდგინებით;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.3.6. საბჭო თავისი შემადგენლობიდან 1 წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს.

6.3.7. საბჭოს სხდომას იწვევს და წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე. მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომას წარმართავს სხდომის მიერ არჩეული სხდომის წამყვანი.

6.3.8. საბჭოს სხდომა მოიწვევა წელიწადში ორჯერ მაინც. სხდომის ზუსტ თარიღს საბჭოს თავმჯდომარე ათანხმებს საბჭოს წევრებთან. ინფორმაცია სხდომის დღის წესრიგის შესახებ წინასწარ მიეწოდება საბჭოს წევრებს.

6.3.9. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე, სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მოიწვიოს საბჭოს სხდომა. ამ შემთხვევაში სხდომის მოწვევის დროსა და სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს სამეურვეო საბჭო.

6.3.10. საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეუძლიათ:

- ა) სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სამეურვეო საბჭოს;
- ბ) საბჭოს თავმჯდომარეს;
- გ) საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ს წერილობითი მოთხოვნით.

6.3.11. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

6.3.12. საბჭოს სახელით გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტი.

6.3.13. საბჭოს მიერ მიღებული წერილობითი რეკომენდაციები წარედგინება სამეურვეო საბჭოს წელიწადში ორჯერ.

6.3.14. საბჭო თავისი უფლებამოსილების განხორციელებას დაიწყებს პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების დღიდან.

6.3.15. საბჭოს პერსონალური შემადგენლობის შერჩევასთან დაკავშირებით განცხადებების წარმოდგენის შესახებ ინფორმაციის თაობაზე საზოგადოება ინფორმირებული იქნება მაუწყებლის ვებ-გვერდის და ტელეეთერის საშუალებით.

6.3.16. საბჭოს წევრობის კანდიდატურების მიერ განცხადებების წარმოდგენის პირობები და ვადები განისაზღვრება მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ.

6.3.17. საბჭოს ლიკვიდაციის, აგრეთვე მის შემადგენლობაში და საბჭოს საქმიანობის წესში ცვლილებების შეტანის საკითხს, საბჭოს რეკომენდაციით ან სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით წყვეტს სამეურვეო საბჭო.

6.3.18. საბჭოს წევრები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ ანაზღაურების გარეშე.

*სამეურვეო საბჭოს 14.02.2011წ. №198 (ოქმი №186) გადაწყვეტილება
სამეურვეო საბჭოს 05.07.2011წ. №207 (ოქმი №195) გადაწყვეტილება*

7. მ ა უ წ ყ ე ბ ლ ი ს ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

7.1. მაუწყებლის ფინანსების ფორმირების წყაროებია:

7.1.1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახსრები;

7.1.2. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

7.1.3. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

7.2. მაუწყებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას.

8. მ ა უ წ ყ ე ბ ლ ი ს ბ ი უ ჯ ე ბ ი

8.1. გენერალური დირექტორის წარდგინებით სამეურვეო საბჭო იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს და ამტკიცებს მისი შესრულების ანგარიშს.

8.2. მაუწყებლის ბიუჯეტი, მოცემულ ეტაპზე, ფორმირდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი და მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობით შემოსული სახსრებით.

სამეურვეო საბჭოს 08.04.2015წ. №293 (ოქმი №290) გადაწყვეტილება

9. ა უ დ ი ტ ი

9.1. მაუწყებლის საქმიანობის გარე აუდიტს ახორციელებს სამეურვეო საბჭოს მიერ კონკურსის წესით დანიშნული საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმა.

9.2. გენერალური დირექტორი კონკურსის წესით ნიშნავს მაუწყებლის აუდიტორს, რომელიც რეგულარულად ატარებს მაუწყებლის შიდა აუდიტს. მაუწყებლის აუდიტორი ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის წინაშე.

სამეურვეო საბჭოს 08.04.2015წ. №293 (ოქმი №290) გადაწყვეტილება

10. მაუწყებლის კონტროლი და საქმიანობის საჯაროობა

10.1. მაუწყებელი დამოუკიდებელია ხელისუფლებისაგან, არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას.

10.2. მაუწყებლის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა.

10.3. სამეურვეო საბჭო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საქართველოს პარლამენტსა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიას წარუდგენს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს.

10.4. მაუწყებელი უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის საჯაროობას.

10.5. მაუწყებლის საჯარო ინფორმაცია გაიცემა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გენერალური დირექტორის ბრძანებით დანიშნული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

სამეურვეო საბჭოს 08.04.2015წ. №293 (ოქმი №290) გადაწყვეტილება

11. მაუწყებლის საქმიანობის შეწყვეტა

მაუწყებლის საქმიანობის შეწყვეტა, ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. მაუწყებლის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დასაშვებია სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით.

12.2. წინამდებარე დებულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანი დებულების ბათილობას.

12.3. წინამდებარე დებულება ძალაში შედის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცების დღიდან.

13. გარდამავალი დებულებები

13.1. საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებით განსაზღვრული ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის ახალი სტრუქტურის იმპლემენტაციის პერიოდი განისაზღვროს 2016 წლის 1 სექტემბრიდან – 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.2. საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებით განსაზღვრული ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის ადამიანური რესურსების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტაციის პროექტი სამეურვეო საბჭოში წარდგენილი იქნეს არაუგვიანეს 2016 წლის 30 სექტემბრისა.

სამეურვეო საბჭოს 15.04.2016წ. №338 (ოქმი №317) გადაწყვეტილება

სამეურვეო საბჭოს 11.08.2016წ. №342 (ოქმი №323) გადაწყვეტილება